

სს ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი

2021 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

სს “ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი”

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2021-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31/12/2021 ლარი	31/12/2020 ლარი	31/12/2019 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები		217,540	663,673	703,551
არამატერიალური აქტივები		174,501	179,130	216,587
გრძელვადიანი ინვესტიციები	4	8,749,715	2,807,897	3,716,617
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,141,755	3,650,700	4,636,755
სასაქონლო მარაგები		467,789	446,773	445,420
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	13,050,573	9,592,924	9,337,047
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		68,547	76,125	66,778
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,586,909	10,115,822	9,849,245
სულ აქტივები		22,728,664	13,766,523	14,486,000
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		138,241	83,896	29,744
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		6,530,941	5,396,685	4,747,639
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	13,292,913	9,875,547	9,772,318
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,962,096	15,356,128	14,549,701
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		6,179,503	4,952,605	5,894,220
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,179,503	4,952,605	5,894,220
სულ ვალდებულებები		26,141,599	20,308,733	20,443,921
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		8,085,944	7,852,584	7,409,936
გაუნაწილებელი მოგება		(13,262,270)	(14,394,793)	(13,367,856)
სხვა რეზერვები		1,763,391	-	-
სულ კაპიტალი		(3,412,935)	(6,542,210)	(5,957,920)
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		(4,301,480)	(6,595,636)	(6,092,092)
არამაკონტროლებელი წილი		888,545	53,426	134,171
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		22,728,664	13,766,523	14,486,000

სს ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი-ს


დირექტორი  აიეტი კუკავა

სს “ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი”

კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2021 - 31.12.2021 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2021 ლარი	2020 ლარი
ამონაგები		1,456,402	688,169
ამონაგების თვითღირებულება		(7,920)	(599,692)
საერთო მოგება		1,448,482	88,478
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,414,618)	(2,413,604)
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	8	1,433,528	1,340,848
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		971,998	(42,658)
მოგება დაბეგვრამდე		2,439,390	(1,026,937)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		2,439,390	(1,026,937)
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		2,440,418	(960,413)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		(1,029)	(66,524)
მოგება/ზარალი		2,439,390	(1,026,937)

სს ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი

დირექტორი  აიგეტი კუკავა

სს “აღიანს ჯგუფი ჰოლდინგი”

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2021 - 31.12.2021

პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	არამაკონტროლე ბელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი - 31.12.2019	7,221,345	(13,313,436)	(6,092,092)	134,171	(5,957,920)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	421,962		421,962	-	421,962
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-	-	-	-
პერიოდის მოგება		(960,413)	(960,413)	(66,524)	(1,026,937)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	20,686		34,907	(14,221)	20,686
ნაშთი - 31.12.2020	7,663,993	(14,273,850) 	(6,595,636)	53,426 	(6,542,209)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	106,974		(710,446)	817,420	106,974
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(98,969)	(99,816)	847	(98,969)
პერიოდის მოგება		2,440,418	2,440,418	(1,029)	2,439,390
კაპიტალის სხვა ცვლილებები	681,880		664,000	17,880	681,880
ნაშთი - 31.12.2021	8,452,847	(11,932,401)	(4,301,479)	888,545	(3,412,934)

სს აღიანს ჯგუფი ჰოლოდინგი

დირექტორი _____ აიუტი კუპაზა

სს “ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი”

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს “ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი” ს/კ 404511186 სააქციო საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 29/03/2016). ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონში, კოსტავას ქ., N 47/57.

სს “ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი” ჰოლდინგური მშობელი საწარმოა, რომელიც ფლობს რამდენიმე კომპანიას, და მისი ძირითადი საქმიანობაა შვილობილი იურიდიული პირების მენეჯმენტი და მართვა.

კომპანიის დირექტორი: აიეტი კუკავა, პ.ნ. 62001020248

31 დეკემბერი 2021-ის მდგომარეობით სს “ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი” მფლობელია შემდეგი საზოგადოებების:

- **სს AE-SGI Energy I ს/კ 404421915 (100 %)** სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 08/05/2012) ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქ., № 47/57. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრო ენერგიის წარმოება, მიწოდება, ენერგეტიკის სფეროში კონსალტინგის გაწევა; ენერგეტიკის სფეროში სხვა მომსახურებები.
- **სს ალიანს ჯგუფი კაპიტალი ს/კ 405308572 (100 %)** სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 24/12/2018) ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, N 75, სართული 6, ბინა N11. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ინვესტიციებით, დაფინანსების მოზიდვით და ბიზნესისთვის ხელისშეწყობით. ქართული დამწყები ბიზნესების მოძიება და მათი დაკავშირება ქართველ და საერთაშორისო ინვესტორებთან;
- **სს ვესტა ჯგუფი ს/კ 404537382 (88 %)** სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 30/04/2018) ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მ. კოსტავას ქ., № 47/57 მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინვესტიციების განხორციელება საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ასევე ინვესტიციების განხორციელება სხვადასხვა კომერციულ პროექტებში, რომელიც შეეხება უძრავი და მოძრავი ქონებით, უფლებებითა და მოთხოვნებით ვაჭრობას.

- შპს პეტრიწი ქლაბი 405401676 სს ვესტა ჯგუფის შვილობილი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 06/07/2021) საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ი. პეტრიწის ქ., N7, ფართი 3ბ.
- სს ფინური საერთაშორისო სკოლა ს/კ 404557234 (100 %) სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 30/04/2018) ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა, N 47/57 მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა:
 - ა. დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა;
 - ბ. საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა;
 - გ. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა;
- სს ჰესი I ს/კ 404541206 404541206 (100%) სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 13/07/2017) ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა, N 47/57 მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრო ენერგიის წარმოება და მიწოდება.
- შპს ალიანს ჯგუფი ფროფერტი, ს/კ 404395668 (100 %) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 21/02/2011) ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა, N 47/57 მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავ-მოდრავი ქონების შეფასება.

შპს ალიანს ჯგუფი ფროფერტი თავისმხრივ 100 %-იანი წილის მფლობელია შემდეგი კომპანიების:

 - შპს ალიანს ჯგუფი აი-თი ს/კ 404394320, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 28/01/2011) ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა, N 47/57. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მონაცემთა ბაზების წარმოება, საკონსულტაციო მომსახურების გაწევა რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირებისთვის.
 - შპს ალიანს ჯგუფი მიკრო კრედიტი ს/კ 404386357, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 26/08/2010) ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა, N 47/57 მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.
 - შპს ალიანს ჯგუფი ფიტნესი ს/კ 206299085, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 23/08/2007) ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა, N 47/57 მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობები.

- შპს "ფინური ტრენინგის ცენტრების მართვის კომპანია" ს/კ 436048224 წარმოადგენს სს „ფინური საერთაშორისო სკოლის“ (ს/კ 404557234) შვილობილ კომპანიას. საწარმო არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 27/05/2021), მცხეთის რაიონი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი N085, ნაკვეთი N017. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - დამხმარე საგანმანათლებლო საქმიანობები.
- შპს "საფეხბურთო კლუბი ქობულეთის შუქურა" ს/კ 446975809 (83%) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 16/04/2019) ქალაქი ქობულეთი, თამარ მეფის სანაპირო N6 ა, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მენეჯმენტი და მართვა, კერძოდ კი შპს "საფეხბურთო კლუბი შუქურა"-ს.
- შპს "საფეხბურთო კლუბი ქობულეთის შუქურა" ს/კ 446975809 თავისმხრივ 100 %-იანი წილის მმართველია შემდეგი კომპანიის: შპს "საფეხბურთო კლუბი შუქურა" ს/კ 446952511 , (რეგისტრაციის თარიღი 28/07/2011) , ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზ., № 141, მესაკუთრე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 245429200. საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპორტული აქტივობები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 აშშ დოლარი / ლარი	3.0976	3.2766	2.8677
1 ევრო / ლარი	3.504	4.0233	3.2095

ამონაგების აღიარება

ამონაგები, საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს

არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3. ცვლილებები წარდგენაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია შესადარისი პერიოდების 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარკვეული უზუსტობები, რის გამოც დაკორექტირებულია ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული ცვლილებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

31/12/2020	ლარი	თავდაპირველი წარდგენა ლარი	წინა წლის მონაცემების კორექტირება ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	663,673	496,896	(166,777)
არამატერიალური აქტივები	179,130	191,616	12,486
გრძელვადიანი ინვესტიციები	2,807,897	14,052,627	11,244,730
სასაქონლო მარაგები	446,773	446,773	(0)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,592,924	11,936,920	2,343,996
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	76,125	88,423	12,298
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	83,896	60,832	(23,064)
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	5,396,685	4,445,003	(951,682)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9,875,547	9,436,761	(438,786)
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4,952,605	7,324,429	2,371,824
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	7,852,584	19,401,711	11,549,127
გაუნაწილებელი მოგება	(14,394,793)	(13,555,481)	839,312
სხვა რეზერვები	-	100,000	100,000
სულ კაპიტალი	(6,542,210)	5,946,230	12,488,440

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. გრძელვადიანი ინვესტიციები

	2021 ლარი	2020 ლარი	2019 ლარი
ინვესტიციები სხვა საწარმოთა			
წილობრივ ინსტრუმენტებში	1,229,394	1,229,394	1,001,869
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7,520,321	1,578,503	2,714,748
სულ:	8,749,715	2,807,897	3,716,617

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020	2019
	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო მოთხოვნები	5,870,905	3,416,138	3,531,864
გადახდილი ავანსები	4,179,087	3,684,384	3,619,029
სხვა მიმდინარე აქტივები	3,000,580	2,492,402	2,186,154
სულ:	13,050,573	9,592,924	9,337,047

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2021	2020	2019
	ლარი	ლარი	ლარი
საიჯარო ვალდებულება	13,001	13,198	475
სავაჭრო ვალდებულებები	480,262	223,534	448,826
გადასახდელი ხელფასები	388,758	99,908	-
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	10,865	467	467
სხვა ვალდებულებები	12,400,028	9,538,440	9,322,550
სულ:	13,292,913	9,875,547	9,772,318

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება	(896,064)	(860,450)
ცვეთა და ამორტიზაცია	(115,218)	(80,766)
იჯარის ხარჯი	(106,905)	(134,964)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(296,431)	(1,337,424)
სულ:	(1,414,618)	(2,413,604)

8. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)

	2021	2020
	ლარი	ლარი
სხვა ფინანსური შემოსავალი	1,482,800	1,329,903
საპროცენტო შემოსავალი	336,161	355,140
საპროცენტო ხარჯი	(385,433)	(344,196)
სულ:	1,433,528	1,340,848


9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღამდე (30.09.2022) სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა.

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

სს ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი

დირექტორი  ანა კუკავა